ბრძანება:**ბ24.24211669**

თარიღი:**15/06/2021**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "დასაქმებისა და გადამზადების ცენტრისთვის" თანხის გადარიცხვის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის", საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის", „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის №42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული ა(ა)იპ „დასაქმებისა და გადამზადების ცენტრის" 2021 წლის 04 ივნისის N10/2421155226 და 2021 წლის 14 ივნისის N10/2421165157-04 წერილების, წარმოდგენილი პროექტის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს "დასაქმებისა და გადამზადების ცენტრს" შორის 2021 წლის 08 ივნისს გაფორმებული N21 ხელშეკრულების გათვალისწინებით.

ვბრძანებ:

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, „დასაქმებისა და გადამზადების ცენტრს" ახალგაზრდული სათათბიროს ჩამოყალიბების, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის და ახალგაზრდული სათათბიროსთვის შესაბამისი სივრცის მოწყობის მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან (პროგრამული კოდი: 050102) გადაერიცხოს 10 000 (ათი ათასი) ლარი.

2.დაევალოს საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურს უზრუნველყოს თანხის, 10 000 (ათი ათასი) ლარის, ჩარიცხვა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დასაქმებისა და გადამზადების ცენტრისთვის" (ს/კ: 420000091) შემდეგ საბანკო ანგარიშზე: ს.ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია"; ბანკის კოდი: UGEBGE22; ა/ნ: GE22VT0303 6088 0689 8507

3. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 10 ივნისის ბ24.242116112 ბრძანება.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 180-ე მუხლის პირველი ნაწილის და საქართველოს კანონის ,,ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი" 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. N12).

კონსტანტინე კაკავა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია-მერი (დროებით მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი